ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42. 4224245001**

თარიღი:**01/09/2024**

N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემის შესახებ

,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-8 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 14 აგვისტოს N 17/52 განკარგულების და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 2024 წლის 28 აგვისტოს N 01-02/1279 წერილის და N70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის, 2024 წლის 28 აგვისტოს N 70/14 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ

მუხლი 1. გადაეცეს N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები დანართი N 1-ის შესაბამისად, კომისიების საქმიანობის ვადით (საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობისათვის), საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის (საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე).
მუხლი 2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დაინტერესებული პირის (N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია) მიერ მისი გაცნობისთანავე უთანაბრდება ხელშეკრულებას.
მუხლი 3. წინამდებარე ბრძანების დანართი N 1-ში მითითებული შენობა-ნაგებობების მოსარგებლეებს (უზუფრუქტუარებს) შენობა-ნაგებობების (არასაცხოვრებელი ფართის) იმ ნაწილზე, რომლებიც გამოყენებულ იქნება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, დროებით შეუჩერდეს უზუფრუქტის უფლება (კომისიების საქმიანობის ვადით), საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის (საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე).
მუხლი 4. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს გადასცენ N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ სარგებლობაში მოძრავი ქონება - საარჩევნო პროცესისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის (საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე).
მუხლი 5. N 70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობისას დაიცვას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
მუხლი 6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსს თეონა გეთიას.
მუხლი 7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).
მუხლი 8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი